


# საერთო განცხადება

№37 (770)  
ოთხშაბათი  
30 თებერვალი,  
2024 წ.  
ფასი 2 ლ.



გადლობა დროისთვის  
სამართლებლო



# ვიქტორ ორბანი: ღარნახეული ვარ, რომ საქართველო ნამდვილად იქნება მზად, გახდეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის, უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს შეხვდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს ოფიციალურ ვახშამზე უმსახიბლა.

ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის პრემიერ-მინისტრი საქართველოს სამთავრობო დელეგაციასთან ერთად ეწვია, რომლის შემადგენლობაში უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრი პიტერ სიარტო, უნგრეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრი მარტონ ნადი, უნგრეთის ფინანსთა მინისტრი მიხაი ვარგა და სახელმწიფო მდივანი იანოშ მატე არიან.

29 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერ-მინისტრ ორბანის დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართა. შედგა საქართველო-

სტატუსის მიღების პროცესში.

პირისპირ შეხვედრის შემდეგ მოლაპარაკებები გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდა. განიხილეს სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის კონკრეტული ინიციატივები, მათ შორის, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების შემდგომი გაფართოების საკითხები. ხაზი გაესვა უნგრეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად განვითარების მნიშვნელობას. ამ მიმართულებით აღინიშნა საინვესტიციო სფეროში საქართველოსა და უნგრეთს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მნიშვნელობა.

ისაუბრეს ტურიზმის სფეროში თანამშრომლობაზე და ამ მიმართულებით არსებულ პოზიტიურ დინამიკაზე. საუბარი შეეხო საქართველოსა და უნგრეთის მიერ განხორციელებულ ერთობლივ პროექტებს. ხაზი გაესვა შავი ზღვის კაბელის პროექტის მნიშვნელობას და აღინიშნა, რომ მსგავსი პროექტების განხორცი-

დანარება აღმოგიჩინოთ. ჩვენ უნგრელი ექსპერტები გამოვგზავნეთ თბილისში, ასევე მივიღეთ თქვენი ქვეყნის ექსპერტები ვიზიტით, რომლებიც დაძმობილების პროგრამაში ჩაერთნენ,“ -

- არავის უნდა თავისი საკუთარი ქვეყნის დანგრევა და უაზრო ომში ჩართვა, ამიტომ გვესმის გადაწყვეტილება, რომელიც ქართველმა ხალხმა მიიღო და არჩევანი გააკეთა მშვიდობის სასარგებლოდ

„ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს ომი, იმიტომ რომ მეზობელ ქვეყანაში მიმდინარეობს. ვიცით, ასევე, რამდენად მნიშვნელოვანია მშვიდობა. უნგრეთი არის მშვიდობის მოყვარე ქვეყანა ევროპაში და ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს მცდელობებს, რადგან თქვენც მშვიდობის მხარეს ხართ. არავის უნდა თავისი საკუთარი ქვეყნის დანგრევა და უაზრო ომში ჩართვა, ამიტომ გვესმის გადაწყვეტილება, რომელიც ქართველმა ხალხმა მიიღო



ბა, საერთაშორისო გამოხმაურებასაც ვეცნობი და შემოდის ვთქვა, არავის არ გაუბედავს იმის თქმა, რომ ეს არჩევნები ან მისი შედეგები, რაიმე სახით არ ყოფილიყოს დემოკრატიული. იმ კრიტიკული აზრის გარდა, რაც გამოითქვა, ეს ასეა. ჩვენ უნგრელები, ასევე ვაგზანით ხოლმე ჩვენს დამკვირვებლებს, საქართველოშიც ასე იყო. მე შევისწავლე ის ანგარიში, რომელიც უნგრელმა დამკვირვებლებმა წარმოადგინეს, ყველა ასპექტით იყო პოზიტიური, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების შესახებ იყო საუბარი ამ ანგარიშში და ამიტომ მინდა, მივულოცო საქართველოს პრემიერ-მინისტრს“, - განაცხადა ვიქტორ ორბანმა.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრის რანგში, რომელსაც ბევრი დავა მომიგია, მინდა გითხრათ, რომ მომავალშიც იქნება კამათი, მომდევნო ორი დღის განმავლობაში, მაგრამ ეს ისე უნდა იქნას მიღებული, როგორც ხდება აქამდე. არჩევნების შედეგები უდავოა. თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა, მაგრამ დავა და კამათი მაინც იქნება ევროპაში, თქვენ ამას სერიოზულად არ უნდა შეხედოთ. ეს ჩვეული ამბავია, კამათი არსებობს მსგავსი სახის ბრიუსელში,

ყოველთვის ასეა. როცა თავისი არსით კონსერვატიული პარტიები იგებენ, ჩვენ ყოველთვის ვხედავთ ასეთ კამათს, რადგან ევროპული პოლიტიკა არის სახელმძღვანელოზე დაფუძნებული. თუ ლიბერალები იმარჯვებენ, მაშინ დემოკრატია არის, თუ კონსერვატორები იმარჯვებენ, მაშინ დემოკრატია არ ყოფილა. ასეთი კამათი ყოველთვის ხდება ბრიუსელში. უნგრეთში ან ნებისმიერი სხვა ქვეყანაში თუ ჩატარდება არჩევნები, ასე აღიქვამენ. ლიბერალებს რომ გაემარჯვებოდნენ, მაშინ ეს იქნებოდა მთელ დასავლეთ ევროპაში გავრცელებული როგორც საუკეთესო ფორმაში მყოფი დემოკრატია, მაგრამ ახლა, რადგან კონსერვატიულმა არსმა და სულისკვეთებამ გაიმარჯვა, კამათი არსებობს უკვე ევროპაში. უნგრეთის არჩევნების შემდეგაც ასე იყო, ნებისმიერი სხვა ქვეყნის არჩევნების შემდეგ ასე იყო და საერთაშორისო პრესაშიც ასე შედარდა, მაგრამ ამას სერიოზულად არ უნდა შეხედოთ. პრემიერ-მინისტრო, მინდა მოგილოცოთ არჩევნებში გამარჯვება და დემოკრატიულად ჩატარება, გისურვოთ ბევრი წარმატება, თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ, გქონდეთ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობის იმედი მომავალში“, - განაცხადა ვიქტორ ორბანმა.



სა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრების შეხვედრები პირისპირ და გაფართოებულ ფორმატში, რის შემდეგაც ირაკლი კობახიძე და ვიქტორ ორბანი მედიისთვის ერთობლივ განცხადებებს გააკეთეს.

პირისპირ შეხვედრაზე საქართველოსა და უნგრეთს შორის ორმხრივი ურთიერთობები და სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

ხაზი გაესვა პრემიერ-მინისტრ ორბანის ვიზიტის მნიშვნელობას უნგრეთის ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობის პერიოდში. აღინიშნა, რომ ეს ადასტურებს საქართველოს პრიორიტეტებისადმი უნგრეთის მხარდაჭერას. პრემიერმა აღნიშნა, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ირაკლი კობახიძემ ვიქტორ ორბანს მადლობა გადაუხადა ევროინტეგრაციის გზაზე მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ უნგრეთმა განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს მიერ კანდიდატის

ელეგანს მომავალშიც დიდი ყურადღება დაეთმობა.

უნგრეთი სახელმწიფოს სტიპენდიას უნიშნავს ქართველ სტუდენტებს. ყოველწლიურად 80 ადგილის დაფინანსება ხდება. ინტერესი გაცილებით მეტია, ვიდრე 80, მაგრამ 80-ისთვის გამოიყოფა სტიპენდია და ვაფინანსებთ ქართველი სტუდენტების სწავლას უნგრეთის უნივერსიტეტებში“, - განაცხადა ვიქტორ ორბანმა.

მისივე თქმით, უნგრეთი აფასებს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ერთგულებას მშვიდობის იდეისადმი და დარწმუნებულია, რომ ათწლეულის ბოლოს საქართველო იქნება მზად, გახდეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფო.

„ჩვენ დიდად ვაფასებთ პრემიერ-მინისტრის ერთგულებას ამ იდეისადმი და მე პირადად ვარ დარწმუნებული, რომ ათწლეულის ბოლოსთვის საქართველო ნამდვილად იქნება მზად, საუკეთესო ფორმაში, გახდეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფო. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ

და არჩევანი გააკეთა მშვიდობის მიმართ. უნგრეთშიც ასეა“- განაცხადა ვიქტორ ორბანმა.

„მინდა, მივულოცო საქართველოს პრემიერ-მინისტრს არჩევნებში გამარჯვება. მე ვაკვირდები იმ კამათს, რაც არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ ხდე-













გვესაუბრება „სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელი ლევან მამალაძე:

— ბატონო ლევან, თქვენ საარჩევნო ტექნოლოგიების სპეციალისტი ბრძანდებით. თქვენი შეფასებით, როგორ მიმდინარეობდა საარჩევნო პროცესი?

— სიმართლე გითხრათ, იქედან გამომდინარე, რა ინფორმაციებსაც ვფლობდი, უფრო დაძაბულ საარჩევნო გარემოს ველოდი, მაგრამ ყველაფერმა საკმაოდ მშვიდად ჩაიარა. მე პირადად ხმის მისაცემად ბათუმში გახლდით. მარნეულში, გარდაბანში, ბოლნისსა თუ საქართველოს სხვა კუთხეებში, მნიშვნელოვანი ექსცესები არსად დაფიქსირებულა. ზოგან დაძაბულობა შეგნებულად შექმნეს. მაგალითად, მარნეულში, სოფელ სადახლოში, სადაც ერთ-ერთ უბანზე პირმა ყუთში ბიულეტენები ჩაყარა. ამ კადრებს ოპოზიციური ტელეარხები მთელი დღის განმავლობაში ატრიალებდნენ. ბევრი არჩევნები ჩაგვიტარებია და ასეთი რამ არასდროს მომხდარა — ვინმე უბანზე შევარდნილიყო და ასე ღიად, ყველას თვალწინ ყუთში ბიულეტენები ჩაყარა. ეს სპეციალურად გაკეთდა. საარჩევნო ტექნოლოგიებში ზედმისწევნით ვერკვევი და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ასე არჩევნებს არავინ აყაღებებს. თანაც, ცესკო-მ ეს უბანი გააუქმა. მე თუ მკითხავთ, ყველა უბანი, სადაც რაიმე ექსცესი დაფიქსირდა, უნდა გაუქმდეს. არავითარი საფუძველი, თითქოს, არჩევნები დარღვევით ჩატარდა, ან ლეგიტიმურობის პრობლემა დგას, არ არსებობს.

— საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებმა ანგარიშები წარადგინეს.....

— დიახ, ევროპელი დამკვირვებლების პრესკონფერენციას ვუსმინე, როგორ წვალობდნენ,

რომ როგორმე ისეთი „ფაქტი“ მოეყვანათ, რაც დარღვევაზე მიუთითებდა. მაგალითად, განაცხადეს, ორმაგი ხმის მიცემის მცდელობა დაფიქსირდაო. ის ჩამონათვალი, რაც მათ დარღვევად ჩათვალეს, არჩევნების შედეგებზე გავლენას ვერ მოახდენს.

— ოპოზიციურმა ტელეარხებმა ეგზიტპოლების შედეგების მიხედვით, ოპოზიცია გამარჯვებულად გამოაცხადეს...

— მეხუთე კოლონა, რომელიც უცხოეთიდან ფინანსდება, რატომღაც ეგზიტპოლების შედეგებს ეყრდნობა. ბევრმა არც იცის, რა არის ეგზიტპოლი. ეს გახლავთ არჩევნების პროცესზე დაკვირვების შედეგად, წინასწარი საგარეულო მონაცემების გამოცხადება. ეგზიტპოლი იმდენად მოძველებული მეთოდია, რომლის ერთ-ერთი დანიშნულება არეულობის

შედეგების გამოცხადების შემდეგ კი განაცხადეს: ხელისუფლებამ არჩევნები გააყაღა, ეგზიტპოლების შედეგებს ძალიან აცდენილიაო. ისე გამოჰყავთ, თითქოს, ეგზიტპოლი უფრო სამართლიანია, ვიდრე რეალური შედეგები. არჩევნების გაყაღებულად ცნობის საფუძველი ეგზიტპოლი ვერანაირად ვერ იქნება!

აქვე კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალზე გავამახვილებ ყურადღებას. ოპოზიცია მანიპულირებს, თითქოს, ვერიფიკაციის აპარატით შესაძლებელია გაყაღება და მასში სხვა მონაცემების ჩატვირთვა. ამ საკითხზე ცესკო-ს თავმჯდომარეს გიორგი კალანდარიშვილს ვუსმინე, რომელმაც დეტალურად ახსნა, თუ როგორ მუშაობს ეს აპარატი. სიბიბი, რომლებიც აპარატშია ატვირთული, საჯაროდ არის გამოქვეყნებული

დაბნეულობა უძღვოდა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ეუთო/ოდირმა და სხვა სადამკვირვებლო მისიებმა განაცხადეს, რომ რაიმე სერიოზულ დარღვევას, რასაც შეეძლო არჩევნების შედეგები შეეცვალა, ადგილი არ ჰქონია. ვაკვირდები ბოდი რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლების, ასევე, ამერიკული გამოცემების მიერ დასმულ შეკითხვებს, რომლებიც პირდაპირ კითხულობდნენ: ეს არჩევნები არალეგიტიმურიანო? დამკვირვებლები ამ შეკითხვაზე პასუხს თავს არიდებდნენ და ამბობდნენ, რომ მხოლოდ პროცესს აფასებენ, თუ როგორ ჩატარდა არჩევნები. არცერთ მათგანს არ უთქვამს, რომ არჩევნების შედეგები ეჭვქვეშ უნდა დამდგარიყო. საუბარი იყო მხოლოდ ტექნიკური სახის დარღვევებზე, რაც არჩევნების შედეგს ვერ შეცვლის.

ევროპულ მისწრაფებებთან წინააღმდეგობაშია. ეს იყო ზურაბიშვილის განცხადების შინაარსი. ქართველი ერი გაყაღებულ არჩევნების გასაპროტესტებლად გარეთ გამოვიდა და უარი უთხრა არალეგიტიმურ ხელისუფლებასო, — აი, რისთვის იღვწოდნენ. ნურც ის დაგვაიწყვდება, რომ დასავლეთისთვის ქართველი ხალხი მათი გაყვლის ქვეშ მყოფი ნჯო-ები და მეხუთე კოლონაა. მოსახლეობის 54%, რომელმაც მხარი „ქართულ ოცნებას“ დაუჭირა, მათთვის ქართველი ხალხი არ არის. აი, რა სცენარს ახორციელებს ზურაბიშვილი. მიზანი ხელისუფლების არალეგიტიმურად გამოცხადება და საქართველოში ქაოსის შექმნაა, რასაც მასიური გამოსვლები უნდა მოჰყვეს. მინდა გითხრათ, რომ ვერც დასავლეთი და ვერც ვერავინ, აქ

# დასავლეთისთვის ქართული ხალხი მათი გაყვლის ქვეშ მყოფი ნჯო-ები და მეხუთე კოლონაა

მოწყობაა, რომ ბევრ ქვეყანაში მისი გამოყენება აკრძალულია. დიახ, ეგზიტპოლებს იმ ქვეყნებში იყენებენ, სადაც რეალური არჩევნების შედეგები კი არა, არამედ წინასწარი მონაცემები აინტერესებთ, რაც მერე არეულობის მოწყობისა და იმის საფუძველს ქმნის, რომ არჩევნები გაყაღებულად გამოაცხადო. ეს სატყუარაა და მეტი არაფერი.

ეგზიტპოლი იგივე ვარაუდია. მოდი, ვნახოთ, რას ეყრდნობა ეს ვარაუდი: მას შემდეგ, რაც ამოჩრჩეული ხმის მისცემს, კეითხებიან, თუ ვის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი. ძირითადად, ათი კაციდან ცხრა პასუხის გაცემაზე თავს იკავებს. ათიდან მხოლოდ ერთი გამოკითხული რომ გიპასუხებს, ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენად დიდია ცდომილება რეალურ და ეგზიტპოლის შედეგს შორის. ვიმეორებ, ეგზიტპოლი არის სატყუარა. წელს ეგზიტპოლები დაუკვეთა „ფორმულამ“, „მთავარმა არხმა“ და „იმედმა“. რადიკალებმა მათი დაკვეთით გამოქვეყნებული ეგზიტპოლების თანახმად, ოპოზიცია გამარჯვებულად გამოაცხადეს და ეკრანზე გაჩნდა წარწერა — „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები წააგო. ცესკო-ს წინასწარი



და ნებისმიერ პირს შეუძლია შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა აპარატში ჩატვირთული სია გამოქვეყნებულს. ანუ, თუ ვინმე სიაში ზედმეტად გატარდა, ეს აუცილებლად დაფიქსირდებოდა.

— ბატონო ლევან, ორდღიანი დუმილის მერე, ზურაბიშვილმა არჩევნებს რუსული სპეცოპერაცია უწოდა და არალეგიტიმურად ცნო...

— ეს სცენარი ჩემთვის საესებოთ გასაკებია. ამის შესახებ ვარაუდები მქონდა და ზურაბიშვილის განცხადების მერე, საბოლოოდ დაურწმუნდი, თუ რასთან გვაქვს საქმე. მის განცხადებას წინ ცოტა

სალომე ზურაბიშვილი გვიმტკიცებს, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი დამოუკიდებელია. ეს ტყუილია. რეალურად, იგი უცხო ქვეყნების მიერ შემოყვანილი და დანიშნული პრეზიდენტი გახლავთ. ფაქტობრივად, საქართველოში სხვა ქვეყნის წარმომადგენლის ფუნქციას ასრულებს. ზურაბიშვილი ცესკო-ს მონაცემების გამოქვეყნებას დაელოდა. შემდეგ განახორციელა ზარები აშშ-ში, თავის მეგობარ მაკრონთან და ევროპის ქვეყნების სხვა ლიდერებთან და მათგან მიიღო დირექტივა — არჩევნები არალეგიტიმურად გამოცხადებინა, რასაც აშშ-ისა და ევროკავშირის მხრიდან შესაბამისი განცხადებები უნდა მოჰყვეს. პრეზიდენტს მხარდაჭერა სწორედ უცხოეთიდან აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი დამოუკიდებლად არჩევნების არალეგიტიმურად ცნობას ვერ გაბედავდა.

— პრეზიდენტის მითითებით, მეორე დღეს აქცია გაიმართა...

— იცით, რისთვის სჭირდებოდათ ეს აქცია? — რათა ევროპისა და ამერიკისთვის დაენახებინათ, თითქოს, ქართველი ხალხი ამ არჩევნებს ლეგიტიმურად არ ცნობს. ანუ, ამით ითქვა, რომ დასავლეთმა არალეგიტიმურ ხელისუფლებასთან საქმე არ უნდა დაიჭიროს, რადგან ეს ქართველი ხალხის ნებასთან და

გადატრიალებას ვერ მოახდენს. მოსახლეობის, მინიმუმ, 54%, მათ მხარს არ უჭერს.

— მასიური გამოსვლების მიზანი რა არის?

— მათ სურთ ახალი ტალღა ააგონ, რათა ამას დასავლეთის მხრიდან სანქციები მოჰყვეს. წინასაარჩევნოდ დასავლელი მეგობრები ღიად აღნიშნავდნენ, რომ „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში, უვიზო მიმოსვლას გააუქმებდნენ. ამ ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში, ჩვენს მოქალაქეებს ევროპაში თავისუფლად გადაადგილების საშუალება აღარ ექნებათ. თუ აშშ საქართველოს ფინანსურ სანქციებს დაუწყებს, რითაც ჩვენს ეკონომიკას, საბანკო სისტემას, ლარის კურსს დიდი დარტყმა მიაღებება, ეს იგივე ფასების ზრდას, ინფლაციას გამოიწვევს და ამის ფონზე სოციალური უკმაყოფილების ტალღა აგორდება. ეს ყველაზე საშიში, ძნელად გადასატანი დარტყმა იქნება. ანუ, ზურაბიშვილს და მეხუთე კოლონას უნდათ, ამ გამოსვლებით მაღწიონ იმას, რომ დასავლეთმა არჩევნები არალეგიტიმურად გამოაცხადოს და ამას სანქციების დაწესება მოჰყვეს. ვიმეორებ, სოციალური ტალღის აფეთქების გადაგორება ჩვენი ფინანსური



# „დაეოკრატიული კანიბალიზმი“



ავტორი პასკარ პლავუტიუსი

ახლანან პოლივედური სკანდალი ატყდა და საეჭვო ქმედებებში ისეთი ცნობილი პირები აღმოჩნდნენ გარეულები თუ ჩათრეულები, პირდაპირად გარდა სექსუალური ძალადობისა, ადნოქრომზეც ითქვა, რაც სრულებით არ გამკვირვება.

გადახელოთ არცთუ შორეულ წარსულს და იმ ევროპას გადავაგლოთ თვალს, დღეს რომ ასე გვაბადლის თავს და ისე ერევა საქართველოს შიდა საქმეებში, ლამის ცოცხლად შეგვკვამოს.

აღორძინების ხანის ჰუმანისტების განსაზღვრებით, კულტურა იბადება კანიბალიზმის კვლამის შემდეგ. მოკლედ რომ ვთქვათ, როდესაც ადამიანი ადამიანის ჭამაზე უარს იტყვის გაცნობიერებულად და სამართლებრივი კუთხით დანაშაულად გამოაცხადებს ადამიანის მიერ ადამიანის შეჭმის ფაქტს, კულტურაში დგამს ფეხს.

აღნიშნულ განმარტებას სრულად იზიარებდა და იზიარებს მსოფლიო ცივილიზებული სამყარო, რომელიც, რატომღაც, მაინც დამაინც კონტინენტ ევროპიდან იწყებოდა, თუმცა, მას მოკლედ რომ ვთქვათ „კონკურენციის გაწევა“ დაუწყო არა მთლიანად ამერიკის კონტინენტმა, არამედ კონკრეტულად აშშ-მა და სრულიად სამართლიანად. ის ხომ, ფაქტობრივად, ევროპელი ავანტიურისტების, მკვლევების, მემკვიდრისა და კრიმინალური მენტალობის სხვა ადამიანთა მიერ სისხლისღვრითა და ადგილობრივი მოსახლეობის, ინდიელების გენოციდის ხარჯზე მითვისებული ტერიტორიაა... კარგად ჩამყავებულმა ევროპამ შავი მონებით აფრიკის კონტინენტიდან ამერიკის ჩრდილოეთ კონტინენტზე შეავსო სახელმწიფო-ადამიანური რესურსი და დღეს ცივილიზებულ დასავლეთს წარმოადგენს...

როგორ და რატომ მოგვპარეს ქართველებს ჩვენი, ძველი კოლხური ცივილიზაცია და როდის ან რატომ გავგიყვალბეს ისტორია, ცალკე თემაა, მაგრამ „საბჭოთა-კავშირული“ ქართველები შევეს-

წარით ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის კაციჭამია პრეზიდენტსა და იმპერატორ ბოკასა I-ს (ყან ბედელ ბოკასა 1966-1976 წ.წ.; 1976-1979 წ.წ.), ან, ვთქვათ, უგანდის პრეზიდენტს იდი ამინსაც. პირველი საფრანგეთის სამხედრო სამსახურების აღზრდილი იყო, მეორე — ბრიტანეთისა... ბოკასას კუმირი ნაპოლეონი იყო, იდი ამინსა — პიტლერი...

ურანის ხელსაყრელი პირობებით მოპოვების სანაცვლოდ, ბოკასას რეჟიმი საფრანგეთის მხარდაჭერით სარგებლობდა. პრეზიდენტმა ვალერი ჟისკარ დ'ესტენმა მეგობრად და ოჯახის წევრადაც კი გამოაცხადა ბოკასა და ეს „ოჯახური მეურნეობა“ არ დარღვეოდა, მოუსვენარი ბოკასა საფრანგეთისთვის ყოვლად მიუღებელ ლიბიას რომ არ დაახლოებოდა.

არავისთვის იყო დაფარული, რომ ბოკასა ერთ-ერთ მიღებაზე მინისტრების მათი ყოფილი კოლეგის ზორცით გაუმასპინძლდა და არც ის, რომ ჟურნალისტებს ადამიანის ზორცის მარილიანობაზე ესაუბრა, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს არც საფრანგეთის პრეზიდენტს, რომ მისგან უპირობო საჩუქრები მიეღო და არც ჰენრი კისინჯერს, რომ მისი ნაჩუქარი ბრილიანტებით ეამაყა... დანარჩენი, ბოკასას ჩამოგდება და მისი სასამართლო, უკვე ფარსი იყო, სიკვდილმისჯილობიდან ხუთ წელში ამნისტიით გათავისუფლდა და აგერ ახლა, 2010 წელს „უდიდეს პუმიანისტად“ და საკუთარი ქვეყნის აღმშენებლად დასახელდა. იგივე ითქმის იდი ამინის მიერ (მაცივარში ელაგა ადამიანის დაფასოებული თავები) დასაჩუქრებულ ევროპელებზე და თვით ინგლისის დედოფალზე ელისაბედ II-ზეც.

გასაგებია, რომ ბუნებრივი სასარგებლო წიაღისეულის დაუფლების მიზნით ბევრ რამეზე შეუძლიათ უმაღლეს სახელმწიფო პირებს თვალის დახუჭვა, მაგრამ საინტერესოა, სად იწყება და სად მთავრდება ზღვარი ცივილიზებულიობაზე პრეტენზიასა და რეალურად მის უარყოფას შორის.

დღეს მსოფლიოს არაერთ ადგილზე იფეთქებს ხოლმე ე. წ. ცხელი წერტილი, სადაც მესიერად ჩნდებიან ე. წ. ცივილიზებული სამყაროს წარმომადგენლები ევროკავშირისა და ნატო-ს ეგიდით და აღნიშნულ „წერტილში“ მაქსიმალური სისხლისღვრით აბიჯებს ფეხს სისხლიანი და ამორალური ცივილიზაცია, რომელიც თავის თავშივე ძალადობას და მხოლოდ ძალადობას მოიცავს...

ბუნებრივია, მშვიდობისმოყვარე ადამიანებს უჩნდებათ შეკითხვა: რატომ არიან ასე გულგრილები ამდენი უდანაშაულო ადამიანის მოკვლისა და, ზოგადად, სისხლისღვრის მიმართ „დასავლეთელები“? — პასუხი ცალსახაა, ისინი დემოკრატიის სახელით მოქმედებენ.

იქნებ, სრულიად სხვაგვარადაა საქმე, — ცხელ-ცხელია ის გენები, მათ ქვეყნობიერში რომ ცოცხლობს და რომლებსთვისაც სრულებითაც არ არის საგანგაშო ადამიანის მიერ ადამიანის პირადი მიზნებისთვის მოკვდინება?

ახალს ვერაფერს ვიტყვით, თუ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ არსებობს ფაქტები, რომლებიც ადასტურებს, რომ ევროპელები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში არ გრძობდნენ ზიზღს ადამიანის

ხორცისადმი და XX საუკუნის დასაწყისამდე მიღედნენ კანიბალიზმს, მუმიები და გვამების ნაწილები კი ჩვეულებრივ გამოიყენებოდა იმ პერიოდის ქარვასლებში.

სხვათა შორის, უახლოეს წარსულში, როდესაც გერმანელი არმინ მაივესის სასამართლო პროცესი იმართებოდა და იგი განსასჯელი პარტნიორის შეჭმის გამო უნდა გასამართლებულიყო, მან განაცხადა, ჩვენთან უამრავი კანიბალია, როდესაც ინტერნეტში გამოქვეყნებულ განცხადება, ათეულობით ადამიანი გამოემხმურაო. არადა, მაივესი წერდა, რომ ეძებს ადამიანს, რომელსაც სურს, რომ შეჭამონ...

ინგლისური ლიტერატურის სპეციალისტი ლუიზა ნოუბლი ე. წ. „ევროპული კანიბალიზმით“ მას შემდეგ დაინტერესდა, რაც ჯონ დონის ლექსში „სიყვარულის აღქმითა“ უცნაურ ფრაზას წააწყდა: „არა, ვინც ქალებს იცნობს, დაუფიქრებლად იტყვის: მათ შორის საუკეთესო, მუმიანზე მეტად მკვდარია...“ აღმოჩნდა, რომ მუმიებისა და გვამების შესახებ მუდმივად არის საუბარი XVI-XVII საუკუნეების ნაწარმოებებში. კვლევის შემდეგ ლუიზა ნოუბლიმ გამოსცა წიგნი „სამედიცინო კანიბალიზმი ევროპის ადრეულ თანამედროვე ლიტერატურაში და კულტურაში“.

როგორც ირკვევა, მრავალი ევროპელი, დაწყებული დაბალი სოციალური ფენიდან, დამთავრებული დიდგვაროვნებითა და თვით სამეფო უდიდებულესობით, დაავადებების სამკურნალოდ ადამიანის ძელების, ცხიმისა და სისხლისგან დაშვებულ დანამატებსა და ნაყენებს იყენებდნენ.

სამედიცინო კანიბალიზმის საფუძველში დევს თეორია, რომ რომელიმე ორგანოს ან სხეულის რომელიმე ნაწილში წარმოქმნილი დაავადების სამკურნალოდ სწორედ ეს ორგანო ან სხეულის ის ნაწილი უნდა შეჭამო (ამავე პრინციპზეა აგებული მტკიცებულება, რომ ხილ-ბოსტნეული, რომელიც იმ ორგანოსთვის არის სასარგებლო, რომელსაც ჰგავს). მაგალითად, თავის ტკივილს დაფქული თავის ქალით მკურნალობდნენ, სისხლის გასაწმენდად კი სხვისი სისხლი იყო საჭირო... ახალგაზრდა ადამიანების სისხლის დალე-

ვას, რომ თითქოსდა ეს ორგანიზმს აახალგაზრდავებს და დაბერების პროცესს აფერხებს, გარდა არსებული ფაქტებისა, არაერთ ევროპულ მითსა თუ თქმულებაში აქვს ადგილი. ფრანგული ფილმი „ვიდოკი“ (მთავარ როლში ჟერარ დეპარდიე) სწორედ მსგავს სიუჟეტზეა აგებული.

როგორც ისტორიული დოკუმენტებიდან ჩანს, განსაკუთრებით ძვირად ფასობდა ადამიანის სისხლი. იტალიელი ფილოსოფოსი, ჰუმანისტი და ასტროლოგი მარსილიო ფიჩინო ირწმუნებოდა, რომ სასიცოცხლო ძალების შექმნისთვის საჭირო იყო ახალგაზრდა ადამიანის სისხლის დალევა. სახელგანთქმული ექიმი, ალქიმიკოსი და ოკულტისტი პარაცელსი ირწმუნებოდა, რომ ადამიანის სისხლს უდიდესი სამკურნალო ძალა ჰქონდა და მისი სმა ძალიან სასარგებლო იყო. მათი რადიკალური მიმდევრები უფრო აკონკრეტებდნენ, მიიჩნევდნენ, რომ საჭირო იყო ახალ-ახალი სისხლის დალევა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, საიდან უნდა მოეტანათ ადამიანებს თავიანთივე მსგავსი ინდივიდის, ადამიანის ამდენი სისხლი, თუმცა, პასუხი თავისთავად ცხადია...

არსებობს დოკუმენტურად დადასტურებული მასალა იმის შესახებ, რომ ღარიბები, რომელთაც არ შეეძლოთ ე. წ. აფთიაქებში შეეძინათ სისხლი, პირდაპირ ჯალათებისგან ყიდულობდნენ სიკვდილით დასჯილის ჯერ კიდევ თბილ სისხლს... საგსს მაგალითად მოჰყავს სისხლისგან დაშვებული მარმელადი, რომელიც 1679 წლით თარიღდება...

რა თქმა უნდა, ევროპის ამ ნაკადს ვერც ლეონარდო და ვინჩი ასცდებოდა, მისი სიტყვებია: „ჩვენ ვინარჩუნებთ სიცოცხლეს სხვა ადამიანების სიკვდილის წყალობით. მკვდარ სხეულში რჩება უგრძობი სიცოცხლე. ის ცოცხლდება, როდესაც ცოცხლების კუჭს უერთდება...“

რეალურად კურნავდა თუ არა კონკრეტულ ადამიანს მეორე ადამიანის სხეულის ნაწილების შეჭმა ან მისი სისხლის დალევა — ერთია და მეორეა თვით აქტის აღსრულება. ვეველა შემთხვევაში, სახეზეა ანთროპოფაგია, ადამიანის ჭამა. ამ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი









გვესაუბრება ეკონომიკის  
ექსპერტი ს(ო)ს(ო) არჩაბაძე

# უხსოვთიდან დახმარების სახით ფულადი რესურსების შეხსიერება ტრაგიკულად არ უნდა მივიჩნიოთ

ლეთს გაცნობიერებული აქვს და ვფიქრობ, მოლაპარაკებების გაგრძელებაც და პოლიტიკის გადატვირთვაც ამ პლატფორმიდან მოხდება. არჩევნების მერე პრემიერმა განაცხადა, რომ ხელისუფლების კურსი — ევროპული არჩევანი, კვლავ უცვლელია.

— პრემიერმა განაცხადა, რომ მალე ეკონომიკური ზრდის ტემპით ევროკავშირის ყველა ქვეყანას გაუვსწრებთ...

— ეკონომიკა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, საკმაოდ დამაჯერებელი ტემპებით ვითარდება. მაგალითისთვის მოვიყვან შედარებას: 2020 წელს, პანდემიით გამოწვეული ნეგატიური შედეგები საქართველოს ეკონომიკაზე 1.5-ჯერ უფრო მწვავედ აისახა, ვიდრე საშუალოდ, მსოფლიოში. მხედველობაში მაქვს, ვარდის ტემპი. 2024 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, 2.5-ჯერ უფრო სწრაფი ზრდა გვაქვს, ვიდრე საშუალოდ, მსოფლიოში. წინასწარი შეფასებით, ეს 36.5%-იანი ზრდაა მაშინ, როცა გლობალური მასშტაბით მსოფლიო ეკონომიკა მხოლოდ 14.5%-ით გაიზარდა. საინტერესოა, რომ სავალუტო ფონდის მონაცემებით, 2019 წელთან შედარებით, 2024 წელს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით, მსოფლიო საშუალოდ 3.9 ათასი დოლარით გაიზარდა, ამერიკაში კი — 3.1 ათასი დოლარით, ანუ უფრო ნაკლებად. რა თქმა უნდა, აშშ-სთან და ევროკავშირთან შედარებით სოლიდური ჩამორჩენა გვაქვს, მაგრამ ზრდის ტემპისა და მატების მაჩვენებლები საკმაოდ დინამიკური ტემპით ვითარდება და ისტორიულ ჩამორჩენას თანდათან ვამცირობთ როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით. ეს პროცესი 2030 წლამდე უნდა გაგრძელდეს. საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზით, საქართველო ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა იქნება. „ქართული ოცნების“ წინასწარჩვენო პროგრამის პრეზენტაციისას ითქვა, რომ მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების დონით

77-ე ადგილიდან, ოთხ წელიწადში საქართველო 66-ე ადგილზე გადაინაცვლებს. ეს საკმაოდ სერიოზული წინსვლაა — ეკონომიკური ზრდის იმდენად მაღალი სიჩქარე გვაქვს აკრეფილი, რომ თანდათან ჩამორჩენას ვძლევთ და უფრო პრესტიჟულ, მაღალ ადგილს ვიკავებთ.

საქართველო საერთაშორისო სატრანსპორტო-საკომუნიკაციო და ეკონომიკურ ჰაბად ყალიბდება, რაც სოლიდური ბონუსის მომტანია ჩვენი ქვეყნის არამარტო საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებისთვის, არამედ მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდით, სამუშაო ადგილების ფორმირების და სხვა კუთხითაც. ჩვენი ქვეყანა ლიდერის „კეთილ მამის“ სამართლიანად ირგებს.

— პრემიერმა პროგრამის პრეზენტაციაზე სიღარიბის, უმუშევრობის 4%-მდე შემცირებაზეც ისაუბრა...

— სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის უნივერსალური რეცეპტი დასაქმება, ქვეყნის მასშტაბით

შორის, პენსიების მატებით, სხვადასხვა სოციალური შეღავათების, მიზნობრივი პროგრამების განხორციელებით, რომელთა დანიშნულება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, სოციალური პირობების გაუმჯობესებაა.

მთავარი სტრატეგია სამუშაო ადგილების გამრავალფეროვნების, ანაზღაურების ზრდის, ხელფასებსა და პენსიებს შორის გარკვეული პროპორციების თანაფარდობისკენ უნდა იყოს მიმართული. გარკვეული დროის შემდეგ ხელისუფლება შეძლებს, რომ პენსია ათასი ლარი გაზარდოს, მაგრამ ეს მყისიერად ვერ მოხერხდება. საქართველოს ეკონომიკას ჯერ არ აქვს იმის პოტენციალი, რომ 800 ათაზე მეტი პენსიონერი ყოველთვიურად ათასი ლარით უზრუნველყოს. ეს იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ლარი იმდენად გაუფასურდება, რომ მისი მსყიდველუნარიანობა, დაახლოებით, 2,5-3-ჯერ შემცირდება. ასე, დამატებითი ფულის მასის დაბეჭდვის ხარჯზე შეიძლება პენსია ათასი კი არა, ათი ათასი

ცია, ეგზისტენციურ საფრთხეს არ წარმოადგენს. ახლა საქართველოს ეკონომიკას სერიოზულ გამოწვევებზე ღირსეული პასუხის გაცემა შეუძლია.

— ანაკლიის პორტის მშენებლობა დაიწყო. აღინიშნა, რომ 2029 წელს პორტი პირველ გემს მიიღებს. რამდენად მნიშვნელოვანია ეს ქვეყნის ეკონომიკისთვის?

— ანაკლიის პორტის მშენებლობას ასე ცალკე არ განვიხილავდი. ამ პროცესს უფრო ფართოდ შევხედოთ, ანუ, ქვეყანაში განხორციელებული მსხვილმასშტაბიანი ეკონომიკური პროექტების რეალიზაციას როგორც რეალურ სექტორში, ისე მომსახურებისა და სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სფეროში. მნიშვნელოვანია სატრანსპორტო მაგისტრალის მშენებლობა. ამ კუთხით უნდა შევხედოთ ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის პროცესსაც — 2030 წლისთვის ელექტროენერჯის იმპორტზე საერთოდ უარს ვიტყვი და გაზრდილ მოთხოვნილებებს საკუთარი რესურსებით დაეკმაყოფილებთ. ყოველწლიურად თითქმის ორი მილიარდი დოლარის ენერგეტიკული რესურსების იმპორტი გვიხდება. ეს გახლავთ ნაფორი, გაზი, ქვანახშირი, ელექტროენერჯია. წარმოიდგინეთ, ამ ორი მილიარდიდან, რაც ქვეყნიდან გადის, ნახევარი მაინც საქართველოში რომ დარჩეს — ენერგეტიკულ სიმძლავრეებს შევქმნი, განავითარებთ. თუ დასახული ამოცანა — მსხვილი ენერგეტიკული ობიექტების ექსპლუატაციაში გაშვება წარმატებით განხორციელდა, ქვეყანა რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარს დაზოგავს, რაც ექსპორტ-იმპორტის ბალანსის გაუმჯობესებისა და ქვეყნის სავალუტო რეზერვების შექმნისთვის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი იქნება.

საქართველოს ეკონომიკას მდგრადი განვითარების ისეთი პოტენციალი აქვს, რითაც მაღალი ტემპების უზრუნველყოფა შეუძლია. უნდა მივეჩვიოთ, რომ რეციპიენტი, ანუ მიმღები ქვეყნიდან საქართველოს თანდათან შეეძლება დონორი ქვეყნებიდან არამარტო დახმარებას იღებდეს, არამედ თავადაც დამხმარის როლში გამოვიდეს. ახლა საუბარია იმაზე, რომ შესაძლოა, დასავლეთმა ფულადი დახმარება შეგვიჩეროს. თუ უცხოეთიდან დახმარების სახით ფულადი რესურსების ნაკადის შემოდინება შემცირდება, ეს ტრაგიკულად არ უნდა მივიჩნიოთ. ჩვენ ორივე ფენზე საკმაოდ მყარად ვდგავართ. ეკონომიკური სტრატეგიული მიზნების სწორად დასახვით, საკუთარი რესურსებით შეგვიძლია ჩვენმა საქონელმა მსოფლიოში არამხოლოდ ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს, არამედ მსოფლიო ეკონომიკის წესრიგის ფორმირებაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ და იმ ქვეყნებსა თუ რეგიონებს დავეხმაროთ, რომლებიც ამას საჭიროებენ.



ლური მასშტაბით მსოფლიო ეკონომიკა მხოლოდ 14.5%-ით გაიზარდა. საინტერესოა, რომ სავალუტო ფონდის მონაცემებით, 2019 წელთან შედარებით, 2024 წელს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით, მსოფლიო საშუალოდ 3.9 ათასი დოლარით გაიზარდა, ამერიკაში კი — 3.1 ათასი დოლარით, ანუ უფრო ნაკლებად. რა თქმა უნდა, აშშ-სთან და ევროკავშირთან შედარებით სოლიდური ჩამორჩენა გვაქვს, მაგრამ ზრდის ტემპისა და მატების მაჩვენებლები საკმაოდ დინამიკური ტემპით ვითარდება და ისტორიულ ჩამორჩენას თანდათან ვამცირობთ როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით. ეს პროცესი 2030 წლამდე უნდა გაგრძელდეს. საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზით, საქართველო ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა იქნება. „ქართული ოცნების“ წინასწარჩვენო პროგრამის პრეზენტაციისას ითქვა, რომ მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების დონით

მეტი დოვლათის შექმნა, ასევე, მთლიანი დოვლათის ფორმირებისა და მოსახლეობის ცალკეული ფენების, სოციალური ჯგუფების, ცალკეულ პირთა ჩართულობის მაღალი ინკლუზიურობაა. ეკონომიკა შეიძლება იზრდებოდეს, მაგრამ მოსახლეობის კეთილდღეობა — არა. ხელისუფლების სტრატეგიაა, რომ ეკონომიკის ზრდით გამოწვეული კეთილდღეობა მეტ მოსახლეზე აისახოს, რაც ორი სახით გამოიხატება — მონეტარული და არამონეტარული ფორმით. მაგალითად, ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების გაწევა, განათლების ხარისხის გაუმჯობესება და ა. შ. 2012 წელს განათლებაზე, ჯანდაცვაზე თუ სოციალურ მომსახურებაზე ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების წილი 32% იყო. ამჟამად ეს მაჩვენებელი, 2025 წლის ბიუჯეტისთვის თითქმის 50%-მდე გაზრდილი. ანუ, ჩვენ არამარტო ბიუჯეტის აბსოლუტური ზრდა გვაქვს, არამედ მისი სოციალური მიმართულებით გადანაწილება, რაც მონეტარული და არამონეტარული ფორმით გამოიხატება, მათ

ლარიც გახდეს. გავიხსენოთ 90-იანი წლები, როცა კუპონების ეპოქაში ყველა ჩვენგანი მილიონერი იყო, მაგრამ კუპონის მსყიდველუნარიანობა მიზერული გახლდა.

— წინასწარჩვენო პერიოდში დოლარის კურსის შენარჩუნების მიზნით სავალუტო რეზერვების ინტენსიური გაყიდვა ხდებოდა...

— ეროვნული ბანკის დანიშნულება ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა. ამისთვის ის სხვადასხვა ინსტრუმენტს იყენებს: სავალუტო აუქციონებს, ვალუტის რეზერვების ბაზარზე გამოტანას და სხვა. ზედმეტი აფიოტაჟი არჩევნებს არამხოლოდ საქართველოში, ზოგადად, მსოფლიოშიც ახლავს. აფიოტაჟის ნიველირებისთვის ეროვნული ბანკი სავალუტო ინტერვენციებს ხშირად მიმართავს. საარჩევნო კამპანიის ჩავლის შემდეგ პროცესი პირიქე წარმართება და ეროვნული ბანკი სავალუტო რეზერვებს გაზრდის. მეორეც, საქართველოს ეკონომიკა უკვე იმდენად მასშტაბურია, რომ მისთვის 60 მილიონი დოლარის შექმნა ან ბაზარზე რეალიზა-



# „ფაშისტისა“ და „სულელი კომუნისტის“ დაპირისპირება საბოლოო ფაზაში გადადის

ომი თუ მშვიდობა? — ამჯერად, შეკითხვა უკვე რიტორიკული აღარ არის, რადგან სწორედ პასუხზეა დამოკიდებული მსოფლიოს მომავალი ბედ-იბაღი. სამწუხარო ფაქტია — დღეს მილიტარისტული თუ ომის მსურველები კარნახობენ მსოფლიოს ქვეყნებს როგორ აწარმოონ თავიანთი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა. ამის დამადასტურებელი ფაქტები ბევრია, მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

მსოფლიო შემოთხებით ადვენება თვალს გასულ კვირას ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებს. ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა უკვე მეორედ განახორციელეს ირანზე შეტევა, რაც უკვე აქამდეც გაცხადებული იყო. აქვე აღსანიშნავია, რომ ირანზე თავდაპირველი შეტევა ისრაელმა განახორციელა და თეირანმა პასუხი გასცა. თავდასხმის შემდეგ, ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ისრაელი მომხდარს უპასუხოდ არ დატოვებდა.

შემუშავებული გეგმა ისრაელმა აშშ-ს გადაუგზავნა შესათანხმებლად, თუმცა, პრესაში გასაჯაროების შემდეგ, გაჩნდა იმედი, ისრაელი გადაიფიქრებდა ირანზე თავდასხმას, მაგრამ პაუზა მხოლოდ რამდენიმე დღე გაგრძელდა. სამხედრო ოპერაციაში ჩართული

თაშორისო პოლიტიკურ არენაზე ბევრი საგულსხმო განცხადება გაკეთდა. ნეთანიაჰუს თქმით, შაბათს განხორციელებული შეტევა უარყოფითად აისახება როგორც ირანის ეკონომიკაზე, ისე, რაკეტების წარმოებაზე და რაც მთავარია, გაუჭირდებათ თავის დაცვა, ანუ ამტკიცებს ირანის სამხედრო და სამრეწველო ინფრასტრუქტურის განადგურებას.

ქვეყნის პრეზიდენტის, იცხაკ პერცოვის განცხადებით, ირანზე შეტევა აუცილებელი იყო ისრაელის უსაფრთხოებისთვის. მან იქვე მადლობა გადაუხადა აშშ-ის ხელისუფლებას, სამხედროებსა და დაზვერვის თანამშრომლებს „ფართული თუ ღია“ ერთობლივი თანამშრომლობისთვის. ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ აშშ და ისრაელი ერთობლივად უტევდნენ ირანს. გავრცელებული ინფორმაციით, შეტევის დროს, ნეთანიაჰუ და ქვეყნის ხელისუფლება, მათ შორის სამხედრო მალაჩინოსები ერთ-ერთ სამხედრო ბუნკერში იმყოფებოდნენ.

მომხდარს, ჯერჯერობით, ირანის მხრიდან მხოლოდ ქვეყნის სულიერი ლიდერი აიათოლა ალი ჰამენეი გამოეხმაურა: „... როგორ მივითმინოთ ისრაელის რეჟიმს ირანის ძალა და ირანელი ხალხის ნება, თანამდებობის წვერების



ვებს ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის არეალის გაფართოებას. ჩვენ გვაქვს ძალა პარტნიორობის ჯარებისა და ქვეყნების, მათ შორის ისრაელის დასაცავად. ირანის ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას შეცდომა რომ უპასუხოს შეტევას.“

შაბათს ირანზე განხორციელებულმა თავდასხმამ მსოფლიო ორად გახლიჩა. ისლამური ქვეყნები და გლობალური სამხრეთის სახელმწიფოები გამოეხიზნა ისრაელის ქვეყნებს. საულის არაბეთში ისრაელის საჰაერო შეტევა ირანის სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხელ-

ლებელია, თავიდან ავიცილოთ შემდგომი ესკალაცია, ირანელებმა არ უნდა უპასუხონ ისრაელის შეტევას.“

იგივეს აცხადებენ გერმანიისა და საფრანგეთის ხელისუფლებების პირველი პირები. „იმედი, კონფლიქტი ამით დასრულდება“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა. როგორ შეიძლება დასრულდეს შეიარაღებული დაპირისპირება რეგიონში, როდესაც ისრაელის მხარეს უხვად აძლევენ სამხედრო ტექნიკას, რითიც ისრაელი განაგრძობს საბრძოლო მოქმედებებს დაზარალებულ და ლიბანში... ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ნეთანიაჰუ სარგებლობს აშშ-ში მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნებით და არაფის აზრს აღარ ითვალისწინებს.

პოლიტოლოგებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ აშშ-ში მსგავსი ბინძური წინასაარჩევნო კამპანია, როგორც იყო 2020 წელს და ახლა, მათ ისტორიაში არასდროს ყოფილა. პრეზიდენტობის კანდიდატების აგრესიულმა რიტორიკამ დღეობის ტემპერატურას მიაღწია, რასაც ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ოპონენტები ერთმანეთის მიმართ უხეშ და შეურაცხყოფელ განცხადებებსაც აღარ ერიდებიან. გასულ კვირას, მოქმედმა ვიცე-პრეზიდენტმა კამალა ჰარისმა კონკურენტი დონალდ ტრამპი ფაშისტად მოიხსენია. ვალში არც ტრამპი დარჩა და „სულელი კომუნისტი“ უწოდა. ჯო ბაიდენი უფრო შორს წავიდა და ტრამპი უნდა დაგამწყვდიოთო, განაცხადა.

დემოკრატმა კონგრესმენებმა მოითხოვეს დაიწყოთ მოკვლევა დონალდ ტრამპის სიძის, ჯარულ კუშნერის საულის არაბეთთან კავშირის გამო. ამის შესახებ ოფიციალურად მიმართეს გენერალურ პროკურორს. შეგახსენებთ, რომ ტრამპის პრეზიდენტობისას კუშნერი მის თანამშემწედ მუშაობდა და ისრაელთან ურთიერთობას კურიერებად. კანონმდებლებს არც დემოკრატების მხარდამჭერი პრესა ჩამორჩება. „ვაშინგტონ პოსტმა“ ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით გამოაქვეყნა წერილი, რომ 1995 წელს აშშ-ში სამხრეთ აფრიკიდან ჩასული, დღეს მსოფლიოში უმ-

დიდრეს ადამიანს ილონ მასკს არ ჰქონდა ქვეყანაში დარჩენისა და მუშაობის უფლება. ბაიდენმა ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა და გააქილიკა ბუნუნსენი: „თურმე, მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანი აშშ-ში არალეგალური მუშაკი ყოფილა“. მასკმა, მკაცრ პასუხი გასცა: „ახლა თქვით, ეს ადამიანი ფიქრობს არალეგალებზე და გული შესტკივა მათზე“

როგორც აღნიშნავენ, მასკზე თავდასხმის მიზეზი ტრამპისთვის მხარდაჭერაა, რასაც არ პატიობენ დემოკრატები, თავად 45-ე პრეზიდენტი ცდილობს რომ ჰუმანური პოზიცია დაიკავოს. ტრამპის განცხადებით, თუ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვებს, შეიწყალებს და სასჯელისგან გაანთავისუფლებს ჰანტერ ბაიდენს: „ვიცი, ის ცუდი ბიჭი იყო, მაგრამ მსგავსი სისხლის სამართლის საქმეები აზიანებს ქვეყანას“. მისივე თქმით, თავისუფლად შეეძლო ჰილარი კლინტონზე საქმის აღძვრა, „მაგრამ ვიფიქრე, საშინელი სანახავი იქნებოდა აშშ-ის პრეზიდენტის ენობის ციხეში გამგება“, — განაცხადა ტრამპმა. „არ მგონია, რომ ჩემს წინააღმდეგ ასეთ ბინძურ თამაშს დაიწყებდნენ“, — დასძინა მან.

ამასობაში, ვითარება აშშ-ის დემოკრატიულ პარტიაში არასახარბიელოდ ჩანს. აშშ-ის 44-ე პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ, თანაპარტიულ პრეზიდენტობის კანდიდატ კამალა ჰარისს პოლიტიკური სტანდარტული ნორმებიდან გადახვევის გამო უსაყვედურა. თავის მხრივ, კამალა ჰარისმა თანაპარტიელებს მოსთხოვა, რომ აღარ დაუშვან ჯო ბაიდენი მის წინასაარჩევნო ღონისძიებებზე, ამასობაში კი, დონალდ ტრამპის რეიტინგი საგრძობლად იზრდება. აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებამდე დღეებია დარჩენილი და ისეთი საარჩევნო ატმოსფეროა, აშშ-ის მოსახლეობა შიშობს, რომ არჩევნების შემდეგ სამოქალაქო ომი არ დაიწყო.

მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ აშშ-ში სამოქალაქო ომი ნაკლებად საგარაუდოა, რადგან დონალდ ტრამპმა შეძლო არამარტო მერყევი ამომრჩევლის მიმხრობა, არამედ, დემოკრატიული პარტიის



იყო ისრაელის რამდენიმე 130 სამხედრო თვითმფრინავი, მათ შორის აშშ-ის უახლესი ფ-35 ტიპის თვითმფრინავები. ავიამეტევისას, მოიეროშე საჰაერო თვითმფრინავებს პაერშივე აესებდნენ საწვავით დაბომბვის შედეგებზე ორივე ქვეყანა განსხვავებულ ინფორმაციებს ავრცელებს. ისრაელის მხარის განცხადებით, მათ ძირითადად სამხედრო ინფრასტრუქტურა განადგურეს და მწყობრიდან გამოიყვანეს ირანის საჰაერო თავდაცვის სისტემა. ირანელები თავდაპირველად ამტკიცებდნენ, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ განუცდიათ, მაგრამ მოგვიანებით აღიარეს, რომ ისრაელის შეტევის შედეგად ქვეყანაში შეფერხდა სამხედრო ტექნიკის, კერძოდ, რაკეტების წარმოება. დაბომბვის შედეგად დაიღუპა ორი ადამიანი.

ირანზე შეტევის შემდეგ, საერ- გადასწვებია, ყველა ქმედება ეს ისე უნდა გაკეთდეს, როგორც ჩვენი ერისა და ჩვენი ქვეყნის ინტერესებშია.“ ირანელი ჩინოვნიკები ჯერ კიდევ არ აკეთებენ საჯარო განცხადებებს, საგარაუდოდ, ფიქრობენ როგორ უპასუხონ ისრაელის საჰაერო შეტევას.

ავტორიტეტული გამოცემა „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერს, რომ ისრაელმა ოფიციალურად პირველად აღიარა ირანის ტერიტორიაზე განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შესახებ, რაც შეიარაღებული სამხედრო კონფლიქტის ახალ ფაზაში გადაყვანას ნიშნავს, რასაც ანალიტიკოსებიც აღიარებენ. როგორც ამერიკული პრესა იუწყება, აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ლოიდ ოსტინი ტელეფონით ესაუბრა ისრაელელ კოლეგას იოავ გალანტის, რომელსაც განუცხადა: „აშშ-ის ხელისუფლება არ დაუშ-

ყოფად და საერთაშორისო ნორმების დარღვევად შეაფასეს. იგივე განაცხადა ყატარმა და მხარეებს მოუწოდეს არ დაუშვან შეიარაღებული კონფლიქტის გაფართოება.

განსაკუთრებით მკაცრი განცხადება გააკეთა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა: „უთანაგრძნობ ჩვენს მეზობელ ქვეყანას, ირანს, რომელიც ისრაელის აგრესიის ობიექტი გახდა. დასავლეთის ქვეყნების მიერ მხარდაჭერითა და წაქეზებით, ისრაელი ცდილობს რეგიონში კონფლიქტი გააღვივოს. არაფერი გამოუვათ! რეგიონის ქვეყნები ისრაელელთა თამაშში არ უნდა ჩაერთვნენ!“

დასავლეთის ქვეყნები მოხდარზე საპირისპირო აზრს აფიქსირებენ. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის კირ სტარმერის თქმით: „გასაგებია, რომ ისრაელს აქვს თავდაცვის უფლება, მაგრამ აუცი-

ერთგული მხრადამჭერების, მათ შორის აფროამერიკელებისა და ლათინოამერიკელების გადაბირებაც. ეს ყოველივე კამალა ჰარისის დამსახურებაც არის, რომელიც ვერაფერს ჰპირდება ამომრჩევებს და მხოლოდ თავისი უაზრო სიცილით ცდილობს წარმატების მიღწევას, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მისი რიტორიკით შემფოთებული არიან დემოკრატი მალაჩინოსნები.

საერთაშორისო შეხვედრები და სამიტები ჩვეულებრივი ამბავია, თუმცა, გასულ კვირას რუსეთის ქალაქ ვაზანში გამართული უკვე საერთაშორისო გაერთიანება „ბრიქსის“ სამიტი განსაკუთრებულად მოექცა მსოფლიოს პოლიტიკური საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

თავდაპირველად, ორგანიზაცია ხუთმა სახელმწიფომ: ჩინეთმა, ბრაზილიამ, სამხრეთ აფრიკამ, რუსეთმა და ინდოეთმა შექმნეს ბრიქსის ინიციატივით, თუმცა, „ნისლიანი ალბინი“ ორგანიზაციაში აღარ გაწევრიანდა გარკვეული მოსახრებების გამო. ახლა ორგანიზაციაში ათი სრულფასოვანი წევრია.

წლევანდელ სამიტს რუსეთი მასპინძლობდა, რადგან იგი თავმჯდომარეობდა ორგანიზაციას. ღონისძიებაში მონაწილეობდა 36 ქვეყნის დელეგაცია, მათ შორის 22 ქვეყნის პირველი პირი და 6 საერთაშორისო ორგანიზაცია. საგულისხმოა, რომ ვაზანში ჩავიდა გაეროს-ს გენერალური მდივანი ანტონიო გუტერეში, რის გამოც უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის კრტიკა დაიმსახურა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნატოს წევრი ქვეყანა თურქეთი დაჟინებით ითხოვს ბრიქსში გაწევრიანებას — ამიტომაც იყო ერთდღიანი ჩასული ვაზანში და ხანგრძლივად ესაუბრა პირისპირ მასპინძელ პუტინს, თუმცა, ორგანიზაცია წლევანდელ აღარ გვემავს გაფართოებას.

ბელარუსს, რომელიც რუსეთის უახლოესი მოკავშირეა, ბრიქსის პარტნიორის სტატუსი მიანიჭეს, რაც ორგანიზაციაში გაწევრიანების წინაპირობაა. თურქეთის გარდა, ბრიქსში გაწევრიანების მსურველი რამდენიმე ათეული ქვეყანაა, მაგრამ მათი მიღება კონსერუსი უნდა განხორციელდეს.

ორგანიზაცია ეკონომიკურ-პო-

ლიტიკურია, რომელიც არ განიხილავს სამხედრო გაერთიანებებს, ამიტომ, ბრიქსის წლევანდელ სამიტზე ძირითადად პოლიტიკური განცხადებები გაკეთდა. პუტინის განცხადებით, „მსოფლიოში არსებობენ ძალები, რომლებსაც სურთ რომ დაამუხრუჭონ ქვეყნების სამართლიანი მოწყობა. ისინი დომინაციას არიან მიჩვეულები. შეხვედრის მონაწილეებმა წამოვიწყეთ თემა „მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობის როლის გაძლიერების თაობაზე, გაეროს ეფექტური მუშაობა. ვთვლით, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ გაზარდოს აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის წარმომადგენლობა!“ სამიტის მონაწილეებმა წინადადებას ერთხმად დაუჭირეს მხარი. რაც შეეხება ეკონომიკას, შეთანხმდნენ, რომ საგარეო ოპერაციები განხორციელონ ერთნაირ ვალუტებში.

ბრიქსის შემადგამებელ სამიტზე უცნაური ინფორმაცია გააუღერა პუტინმა: „ცოტა ხნის წინათ დამიკავშირდა პრეზიდენტ ერდოღანის თანამშემწე და მაცნობა, რომ აქვთ ახალი წინადადება უკრაინისთან მოლაპარაკებასთან დაკავშირებით. ვუპასუხე, რომ თანახმა ვიყავით, თუმცა მეორე დღეს ზელენსკიმ განაცხადა, რომ რუსეთთან არანაირ მოლაპარაკებას არ აპირებს. ამიტომ ჩაიშალა მორიგი, მეზუთუ სამშვიდობო მოლაპარაკება.“ მისი განცხადებით, სამშვიდობო მოლაპარაკების წინაპირობაა, რომ უკრაინამ გააუქმოს ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობა, ჩაატარონ საპრეზიდენტო არჩევნები, „საგარეოდ, სამისოდ უკრაინაში მზად არ არიან“, — განაცხადა პუტინმა.

ამასობაში კი, უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში კვლავ გრძელდება სისხლისმღვრელი ბრძოლები, რომლის შეჩერებაზეც, სამწუხაროდ, არაფერს ფიქრობს, — ჯერჯერობით მაინც.

დაუფიქრობოთ აშშ-ში 5 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებას, რაზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული, მათ შორის ომების გაგრძელება-შწყვეტის გადაწყვეტილებები.

ამასობაში კი, ლიკვიდაციის მიზნით, რობერ ფიცოზე შესამედ აპირებდნენ თავდასხმას...

ბიკ ბურღული



# დასავლეთისთვის ქართველი ხალხი მათი გავლენის ქვეშე მყოფი ნაწილი და მხუთე კოლონა

← 7 გვ.

შესაძლებლობებით, დახმარების გარეშე, ძალიან რთული იქნება.

— როგორ ფიქრობთ, ამ დარტყმის ასარიდებლად ხელისუფლება მზად არის?

— ჩემი ვარაუდით, ბიძინა ივანიშვილს რისკები დაზღვეული აქვს. თუ დასავლეთი სანქციებს დაგვიწესებს, ფინანსური დახმარება აუცილებლად დაგვჭირდება. აქ მნიშვნელოვანია ჩინეთის ფაქტორი. ფაქტობრივად, ჩვენ დასავლეთი ჩინეთთან თავისუფალი ურთიერთობების გამო გვსჯის. საქართველო პირდაპირ ამერიკის პროტექტორატად განიხილება, მათი გავლენის სფეროში ვართ მოქცეული. ხელისუფლება აცნობიერებს, რომ ეს ქვეყნისთვის მომგებიანი არ არის და მეტი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის მოპოვების გზას დაადგა.

მოგესხნებათ, ჩინეთიდან, ინდოეთიდან ტვირთების მოძრაობა უნდა დაიწყოს, ტრანზიტმა საქართველოზე უნდა გაიაროს, რაშიც უზარმაზარი თანხები იდებ. ასევე, დაიწყო ანაკლიის პორტის მშენებლობაც. ამერიკა გლობალურ სამხრეთზე, რომელიც თავისი სამხედრო ბაზებით რკალ-

ში ჰყავს მოქცეული, გავლენებს კარგავს. ამიტომაც ხორციელდება ჩვენზე ასეთი დიდი ზეწოლა. ეს ყველაფერი იმისთვის ვახსენებ, რომ დასავლეთიდან განხორციელებული ზეწოლის შემთხვევაში, გლობალური სამხრეთიდან, განსაკუთრებით, ჩინეთისგან დახმარებას უნდა ველოდეთ. ვიმეორებ, იმედია, ივანიშვილს ეს საკითხი მოგვარებული აქვს, რომ ქვეყანამ ლარის კურსის დაცვა და სოციალური აფეთქების თავიდან აცილება შეძლოს. ჩვენ დაახლოებით, 10 მილიარდი დოლარი დაგვჭირდება. ამ დახმარების აღმოჩენა, წესით, ჩინეთისთვის პრობლემა არ იქნება. მათ შორის, მათი გადახდის საფინანსო სისტემაზე მიბმა. ახლა ამ თვალსაზრისით ბრიქსის ქვეყნებიც ფართოვდებიან.

მსოფლიო იცვლება და იცვლება საქართველოც. ჩვენ იმ პროტექტორატის მარწმუნებში ვერ დავრჩებით, რომელიც სარგებელს არ გვაძლევს. ვერც იმ სატყუარის შემყურე ვიქნებით, რასაც ნატო ჰქვია. იქ გაწევრიანება უკვე ისტორიას ჩაბარდა. მეორე სატყუარა ევროკავშირია, რომელსაც თვითონ ევროპელი ექსპერტები 2023 წლისთვის დაშლას უწინასწარმეტყველებდნენ. ამიტომ არ

შეიძლება, მოსახლეობა ვირტუალურ სამყაროში ვამყოფოთ. ის რეალობა უნდა აღვიქვათ, რომელიც დღეს ვცხოვრობთ. ეს მნიშვნელოვანია. ყველანაირი ზეწოლის, დარტყმისთვის მზად უნდა ვიყოთ. თუ ივანიშვილს ეს ყველაფერი გათვლილი აქვს, მაშინ ამ დაპირისპირებიდან გამარჯვებული გამოვალთ. აქვე ვიტყვი, რომ ჩვენ დასავლეთთან დაპირისპირებას არ ვაპირებთ, არამედ ეს იქნება გადატვირთვის პოლიტიკა. შედეგად მათი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ შეიცვლება — დავალდებულებს კი აღარ მოგვცემენ, ერთმანეთის ინტერესებს გავითვალისწინებთ. საქართველო პატარა ქვეყანაა. მისი მთავარი ამოცანაა, რომ დიდი იმპერიების ინტერესები ჩვენს ინტერესებთან თანაფარდობაში მოვიდეს. ეს იმპერიები უნდა მიეჩვიონ, რომ საქართველოს თავისი ინტერესები აქვს და ეს უნდა გაითვალისწინონ, ისევე როგორც ჩვენ — მათი. ამას რომ მივადწვეთ, ჩათვალეთ, რომ საქართველოს აღმასვლა ამ მეტად სწრაფად ცვალებად მსოფლიოში, ძალიან სწრაფი ტემპით გაგრძელდება.

თამარ შველიძე



# ქლივს ველირსეთ მართლმსაჯულების თავისუფლებას

ქართული სასამართლოს დამოუკიდებლობას მავანნი კვლავ ემუქრებიან და უკვე არაფრად დაგიდევნ საერთაშორისო ექსპერტთა პოზიტიურ შეფასებებსაც კი. არ მინდა დავიჯერო, რომ ე. წ. მესამე სექტორის თავისი ქვეყანა არ უყვარს, მაგრამ ყველაფერში რომ უარყოფითს ეძებენ, ფაქტია.

ქლივს ველირსეთ სასამართლოს შედარებით ნორმალურ ვითარებას, მართლმსაჯულების თავისუფლებას, თემიდას გაბედულ გადაწყვეტილებებს, რასაც ბოლო განმარტებული სასამართლოს პროცესებიც მოწმობს, მაგრამ თურმე ქვეყნის ამგვარი წინსვლა არაფერია. არადა, კარგად ვიცნობ არასამთავრობო სექტორის დანიშნულებას, ვეთანხმები, რომ მუდმივად ხელისუფლების ოპონირების რეჟიმში უნდა ცხოვრობდეს, მაგრამ არსად თქმულა და არც დაწერილა, რომ, როცა მისი სანაქებო საერთაშორისო ორგანიზაციებიც შენი ქვეყნის წარმატებაზე საუბრობენ, განსაკუთრებით მართლმსაჯულების

მდგომარეობა. ამ კვლევას არასამთავრობო სექტორისა და პოლიტიკური ძალების გარკვეული ნაწილი ან არ შეიმჩნევს, ან შეეცდება დააკნინოს, ვინაიდან მათი მიზანი მხოლოდ სასამართლოს დისკრედიტაციაა და არა ობიექტური რეალობის ასახვა. მას შემდეგ, რაც გავეცანი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ, კონსორციუმ „Ipsos France“-ისა და პროფესორ იან ვან დაიკის მიერ საქართველოს მოსახლეობისა (გამოკითხა 2000 რესპონდენტი) და სამართლის პროფესიული წრეების კვლევის შედეგებს (იხ: <http://surl.li/qgqoxk>), ვცდები, თქვენი ყურადღება მივაპყრო ჩემი აზრით განსაკუთრებით მნიშვნელოვან მონაცემებს და უდავო პროგრესის დასადასტურებლად შევადარო 2018 წელს საქართველოში ჩატარებული ანალოგიური გამოკითხვის შედეგებს.

მოსახლეობის 84% საქართველოს მიიჩნევს „უსაფრთხო ქვეყნად“; აღსანიშნავია, რომ 142



სწორი მიმართულებით მიჰყავს; ამასთან, 2018 წლის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, ეს მაჩვენებელი გაზრდილია 16%-ით. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 10% მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობისთვის სასამართლო სისტემის შემდგომი რეფორმირება უნდა იყოს პრიორიტეტული (შედარებისთვის: ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად მოსახლეობის 42% საქართველოში მშვიდობის შენარჩუნებას მიიჩნევს; 34% ფიქრობს, რომ მთავარია დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემის აღმოფხვრა და ა. შ.).

ცნობისთვის გაგაცნობთ კვლევის ჩამტარებელი სუბიექტების სტატუსს და ავტორიტეტს: კონსორციუმში „Ipsos France“ მსოფლიოში მარკეტინგული კვლევის კომპანიებს შორის სიდიდით მესამეა; ის 1975 წელს დაარსდა პარიზში და დღეს 90-მდე ქვეყანაშია წარმოდგენილი. პროფესორი იან ვან დაიკი ტილბურგის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორია, რომელიც, წლების განმავლობაში ნიდერლანდების იუსტიციის სამინისტროს სტრატეგიული დაგეგმარების დეპარტამენტის დირექტორი იყო. მას დაარსებული აქვს მსხვერპლთა მხარდაჭერის ცენტრი ნიდერლანდებში, იყო აგრეთვე, ოქსფორდის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი. იან ვან დაიკი არის დანაშაულისა და კრიმინალური სამართლის ერთ-ერთი აღიარებული

ექსპერტი მსოფლიოში; არის 200-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი; 2012 წელს დაჯილდოვდა კრიმინოლოგიაში სტოკჰოლმის პრიზით.

IPSOS-მა პროფესიულ წრეებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, გამოარკვია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესი, პროკურორთა 98,8%-ისა და ადვოკატთა 65,3%-ის აზრით, უზრუნველყოფს საბჭოს დამოუკიდებლობას; ამასთან, ეს მაჩვენებლები, 2018 წლის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, გაზრდილია შესაბამისად 18,6% და 28,3%-ით! მოსამართლეთა დანიშვნის წესი, გამოკითხულ პროკურორთა 97,6%-ისა და ადვოკატთა 62,3%-ის აზრით, უზრუნველყოფს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას; ამასთან, ეს მაჩვენებლები, 2018 წლის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, გაზრდილია შესაბამისად 21,1% და 28,9%-ით, მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურების დიაობით კმაყოფილებას გამოთქვამს გამოკითხულ მოსამართლეთა 93,6%, ხოლო 91,9% ფიქრობს, რომ დაწინაურების შესაძლებლობა ყველას თანაბრად აქვს; ამასთან, ეს მაჩვენებლები, 2018 წლის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, გაზრდილია შესაბამისად 3,7% და 4,7%-ით.

საბოლოო ჯამში, კვლევამ აჩვენა, რომ რეფორმები კარგად მიიღო მოსახლეობისა და პროფე-

სიული წრეების დიდმა უმრავლესობამ. საერთაშორისო პერსპექტივიდან, საქართველოში მოსამართლეები საგრძნობლად უფრო დადებითად აფასებენ თავიანთ დამოუკიდებლობას, ვიდრე, საშუალოდ, ევროკავშირის მოსამართლეები, განსაკუთრებით „ხალხური რეფორმების“ მომუშავე მოსამართლეები.

კიდევ რატომ არის ავტორიტეტული აღნიშნული კვლევა? დიმიტრი გვრიტიშვილის თქმით, მკვლევართა სწორედ ეს სტატუსი და ავტორიტეტი ანიჭებს წარმოდგენილ კვლევას უდავო მტკიცებულებით ძალას. სწორედ ამით განსხვავდება ეს კვლევა სასამართლოს საკითხებზე მომუშავე ე. წ. არასამთავრობო სექტორის გაურკვეველ სუბიექტთა მიერ საკუთარ 20-კაციან ბაბლებში ჩატარებული, მიკროდონიანი და ტენდენციური „კვლევებისაგან“. სწორედ ასეთი კუსტარული, შინაურული „კვლევები“ იგზავნება უცხოელ პარტნიორებთან სასამართლოს ავტორიტეტის დაზიანების მიზნით. რადა თქმა უნდა, ეს სუბიექტები და გარკვეული რადიკალური პოლიტიკური ძალები შეეცდებიან, საერთოდ არ შეიმჩნიონ, მიჩქმალონ ან დააკნინონ ამ კვლევის შედეგები, რადგან მათი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს დისკრედიტაციაა და არა ობიექტური რეალობის წარმოჩენა.

ლევან ჭილაძე



კუთხით, დადუმდნენ მაინც. მათ ხომ უკეთესად ახსოვთ წარსული, სასამართლოს სისტემაში ჩაკარგული „ობიექტურობა“ და სავალალო გადაწყვეტილებები.

ობიექტიური სპექტრის სუფლიორი არასამთავრობო ორგანიზაციები 26 ოქტომბრის არჩევნებში ამოღებულ ცდილობდნენ, ქართველი ხალხისთვის ეჩვენებინათ, რომ თურმე სამართალიც აღარ ჭრის ქვეყანაში, ცვლილებები აუცილებელია, მაგრამ 26 ოქტომბრის არჩევნებში გამოხატული ქართველი ხალხის ნება პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ სამართალშიც არ არის საქმე ურიგოდ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრი დიმიტრი გვრიტიშვილი იუსტიციის IPSOS-ის მიერ საქართველოს მოსახლეობისა და სამართლის პროფესიული წრეების კვლევის ახალ შედეგებს აფასებს და აღნიშნავს, რომ ქართული სასამართლოს სისტემის უდავო პროგრესს რამდენიმე გარემოება ადასტურებს.

„2024 და 2018 წლებში ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების შედარებით ნათლად ჩანს მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესებული

ქვეყანაში ამ მაჩვენებლით საქართველო პირველ ათეულში ხვდება სინგაპურთან, შვეიცარიასთან და ნორვეგიასთან ერთად. დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, მოსახლეობის 61% სასამართლო სისტემას აფასებს დადებითად; ამასთან, 2018 წლის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, ეს მაჩვენებელი გაზრდილია 10%-ით და აღემატება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (53%), ასევე გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვა ე. წ. ახალი დემოკრატიის ქვეყნებშია დაფიქსირებული. აქვე აღსანიშნავია, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხს დადებითად აფასებს გამოკითხულ პროკურორთა 98,8% და ადვოკატთა 73,4%. მოსახლეობის 53% ნდობას უცხადებს სასამართლო სისტემას; ამასთან, 2018 წლის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, ეს მაჩვენებელი გაზრდილია 13%-ით. მოსახლეობის 53% მიიჩნევს, რომ განხორციელებულ რეფორმებს განვითარების თვალსაზრისით სასამართლო







# გავიმარჯვებით სახელროვნად

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი № 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG000000182763600.

## საერთო გაზეთი

შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“

მთავარი რედაქტორი: **გვანცა ხარჩილავა**

რედაქტორი და გამომცემელი: **თამარ ბარკინიშვილი**

**სარედაქციო კოლეგია:**

თამარ შველიძე, ვია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭილაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველეხიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გაერცელები მენეჯერი) 599 58 72 50.

<http://www.saertomedia.com>

მის.: თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;  
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)

E-mail: [saertogazeti@yahoo.com](mailto:saertogazeti@yahoo.com). <http://www.saertomedia.com>

რეგისტ. №202375349; შპს (UDC) 070.23 (479.22) ს-158

**გაზეთის გამოცემა: შპს „ელვა-ჯი“**

+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიციის არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტე პასუხისმგებელი ავტორი. გასაგებება შესაძლებელია მასალის გამოკვეთიდან ერთი კვირის ვალში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

© ამ ნომრით აღნიშნული საკადასტრო მასალები.

იკავშირება შპს „სახელ-დასაგაღის“ სტამბაში. აბლაქის 39. ტელ.: 234-39-99